MES 0 23 0001475337

01/11/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 18 ოქტომბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- მანანა მოისწრაფიშვილი
- ქეთევან ანთაძე
- გიული გურგენიძე
- თათია გივიშვილი
- ქეთევან ღვანიძე
- ვერიკო ჭიღლაძე;
- ქეთევან ჯანელიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის უფროსი - ელზა ფუტკარაძე
ხარისხის სამსახურის სპეციალისტი - თემურ ტუნაძე
სასწავლო პროცესის ზედამხედველი - ეკა გელენიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - შოთა ფოთოლაშვილი
პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი - კახაბერ ჭეიშვილი
პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - სოფიო კაკაურიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და

აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტების საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, 2023 წლის 21-23 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 7 ივნისის N654047 ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ბუღალტრული აღრიცხვა", "საექთნო განათლება" და "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელი ტაკიძეებში, ხიჭაურში. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი. 2023 წლის 21 და 22 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განახორციელეს დაწესებულების ინსტიტუციური სტანდარტების შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები. 2023 წლის 22 ივნისს დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა" ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა, 23 ივნისს კი "საექთნო განათლება" და "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დარგის და განათლების ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრებები პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, შეიმუშავეს რეკომენდაციები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, 2023 წლის 23 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებას წინა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები სრულად შესრულებული ჰქონდა.

წარმოდგენილი ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

5.1.2.1 დაწესებულებას აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე და განხორციელების ვადებთან დაკავშირებით ახორციელებს მოლაპარაკებას შესაბამის სამსახურთან, თუმცა, ამ ეტაპისთვის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. შესაბამისად, ინდიკატორი ექსპერტთა მხრიდან ფასდება როგორც ‘’არ შეესაბამება’’.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინსტიტუციური სტანდარტები:

3.1.1.3. პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცედურაში სასურველია, გაიწეროს კონკრეტული მოქმედების თანმიმდევრობა და ვადები უნივერსიტეტის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.
3.2.1.5. დაწესებულებაში განავითარონ კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ფოკუსირება მოახდინონ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებაზე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის.
4.1.2.4. სასურველია, უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ დაწესებულების მიერ შეგროვილი მატერიალური მტკიცებულებები გამდიდრდეს ფოტოებით, ოქმებითა და სხვა სახით.
4.2.1.1. დაწესებულებამ განავითაროს პერსონალის განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარები და თითოეული კითხვარი მოარგოს შესაფასებელი პირისათვის რელევანტური საჭიროების დადგენაზე.
4.2.1.2. დაწესებულებამ უფრო ინტენსიურად მოახდინოს ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგები პროფესიული განათლების მართვის თანამედროვე გამოწვევებისა და სიახლეების გასაცნობად.
5.2.3.1 დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდზე ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრა და მათი ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.
5.2.3.4 სასურველია, დაწესებულებამ კატალოგში ასახოს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც მას გახდის უფრო ინფორმაციულს და ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირებს არჩევანის გაკეთებისას.

პროგრამული სტანდარტები:
2.2.1.6. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გარემოსთან წვდომის ადაპტირებისთვის შემდგომში გაითვალისწინონ თანამედროვე და უფრო კომფორტული მექანიზმების გამოყენება.
2.2.1.7. განმავითარებელი რეკომენდაციის სახით დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ ბიუჯეტი შედგეს თითოეული განსახორციელებელი პროგრამისთვის ცალ - ცალკე და განისაზღვროს როგორც რენტაბელობის ზღვარი, ასევე, მასში გაითვალისწინონ მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ფორსმაჟორული არახელსაყრელი ვითარების ფინანსური გადაზღვევა, რომლითაც დამატებითი სახსრების გაწევა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას (მაგ. დიდთოვლობის, ზვავიანობის, სხვა მეტეოროლოგიური პირობების გამო გამოწვეული ხარჯები).

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ექსპერტის განცხადებით, შენობა-ნაგებობების მფლობელობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა, და თხოვების ხელშეკრულება, რომელთა მიხედვითაც, სასწავლო უნივერსიტეტი ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც მდებარეობს შუახევის რაიონ სოფელ ტაკიძეებში, ხიჭაურში (საკადასტრო კოდით: 24.07.03.385). ხელშეკრულება გაფორმებულია 2021 წლის 2 დეკემბერს 10 წლის ვადით. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი შენობა მოიცავს: ფოიეს, აუდიტორიებს: თეორიული სწავლების, კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა საჭირო რესურსებით აღჭურვილ გარემოებს, სამუშაო და მოსასვენებელ სივრცეს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეს პროფესიული სტუდენტებისათვის, სივრცეს პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიულ კვანძებს, სივრცეს არქივისთვის, ბიბლიოთეკას, სამედიცინო კაბინეტსა და სასადილო ოთახს. გარდა არსებული შენობა-ნაგებობისა დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს სხვადასხვა სახის ძირითადი აღჭურვილობა - მატერიალური

რესურსი. დაწესებულების სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით და სხვა სწავლის პროცესისთვის საჭირო დამატებითი რესურსებით, როგორიცაა დაფა, სტუდენტებისა და მასწავლებლის სამუშაო სკამები და მაგიდები, პროექტორები, კომპიუტერები. მოძრავი ქონებისა და სასწავლო რესურსის ფლობა დასტურდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული დოკუმენტაციით. ახლანდელი ვიზიტისას ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა ინდიკატორის შესრულების პირობები. დაწესებულებას აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები. ამასთან დაკავშირებით დაწესებულება, პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილ შენობაში ასასვლელ კიბეებზე იყენებს კუსტარულად დამზადებულ ხის დასაკეც პანდუსებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დანიშნულებისამებრ. ხოლო, გარემოს უფრო ადაპტირებისთვის დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია, სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ექსპერტის განცხადებით, წინა შემოწმების ფარგლებში გათბობის სისტემა შეფასდა შეუსაბამოდ. გამომდინარე იქიდან, რომ: შენობა-ნაგებობა არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულების განცხადებით, გაზის შემოსვლამდე გაიმართებოდა ცენტრალური გათბობის შიდა ქსელი და უნივერსიტეტს ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა უნდა დაესრულებინა 2023 წლის მაისში, როცა გაზი შევიდოდა ხიჭაურში. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ შუახევის რაიონში გაზიფიცირება დასრულებული არ არის და ეს პროცესები ისევ მიმდინარეობს, ვერ მოხდა დაწესებულების გაზიფიცირება დადგენილ ვადებში. თუმცა, ამასთან სასწავლო უნივერსიტეტმა დაიწყო ცენტრალური გათბობის ელექტროსისტემის გამართვა, რისთვისაც აქვს ცენტრალური გათბობის ქვაბი, საჭირო მასალები და უზრუნველყოფს სისტემის მოწყობას, რაც ასევე დასტურდება დათვალიერების შედეგებით. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. ექსპერტთა მოსაზრებით, შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში, ექპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილი შენობები, საიდანაც დგინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ყველა ფართი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობებით, ცეცხლმაქრებით, შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, დაწესებულებას ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს შესაბამის მეთვალყურეობასა და პერიოდულად ინსტრუქტაჟების ჩატარებას. სასწავლო უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა რექტორის 2021 წლის 2 დეკემბრის წერილი, რომლითაც მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს და მოითხოვა უნივერსიტეტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. 2021 წლის 3 დეკემბერს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განახორციელა დაწესებულების სახანძროტექნიკური შემოწმება და შეადგინა შესაბამისი

შეფასების აქტი N209. აქტის თანახმად, შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ გაკეთდა როგორც შეუსაბამო, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას გასატარებელი ჰქონდა რიგი ღონისძიებები. აღნიშნული აქტის შედგენის შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რექტორის 2021 წლის 9 დეკემბრის წერილით (N 01-16/74), უნივერსიტეტმა მიმართა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის უფროსს, რომ შედგენილი აქტი #209-ის საფუძველზე გაეკეთებინა მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე. ამასთან, წერილით უნივერსიტეტმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიაწოდა ინფორმაცია უნივერსიტეტში Covid19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, სასწავლო პროცესების დისტანციურად მიმდინარეობის შესახებ და ითხოვა მიწერილობაში უსაფრთხოების დარღვევების აღმოფხვრისა და შესრულების ვადები განესაზღვრათ 2025 წლიდან. დაწესებულებასა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის გრძელდება მოლაპარაკებები, რომლის დასრულების შემდგომ გადაწყდება აღნიშნული საკითხი და დაწესებულება წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, დაცულია პერსონალთა მონაცემები, ფასდება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობა, პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმი/სისტემა. დაწესებულება, უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტრატეგიულ კუთხეს - აჭარას მოუმზადოს ბუღალტრის პროფესიის სპეციალისტები, რომლებსაც ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეცოდინება, ბიზნესის ენა“ და შეძლებს დაინტერესებულ მხარეებს დროული ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომიური და ფინანსური საქმიანობის წარმართვაში, რაც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 60-ს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ორ ცვლაში (ერთ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტი). სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის გამოყოფილია ორი A/B და ერთი B გარემო. B გარემოს აუდიტორია ემსახურება ზოგადი მოდულების სწავლებას, ხოლო A/B გარემო განსაზღვრულია პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. აღნიშნული აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებით, სკამებით, დაფითა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით - ფლეშ-მეხსიერებებით, პრინტერებით, პროექტორებით და შესაბამისი მახასიათებლების მქონე პერსონალური კომპიუტერებით, სადაც ჩატვირთულია (ORIS) პროგრამა. პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული

აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 19 მასწავლებელი, აქედან: 7 განახორციელებს ზოგად, ხოლო 12 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულებას აქვს შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები. სასწავლო რესურსი საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. უნივერსიტეტს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“

ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც: „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ოთხი A, ერთი AC და ორი B გარემო, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 20 სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო ადგილი. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი. უნივერსიტეტში განთავსებულია სამედიცინო პუნქტიც. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის სწავლება, ძირითადად პრაქტიკის ობიექტებზე იგეგმება. პრაქტიკული სწავლების მოდულების, ასევე კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში: სსს ,,ევექსსის ჰოსპიტლები,, „შპს ქ. ბათუმის სამედიცინო ცენტრში, რომლებსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ხელშეკრულების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული კლინიკები ადასტურებენ მოდულის შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებას შესაბამის განყოფილებებში. დაწესებულებაში მოწყობილი არის AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულების შინმოვლის და ავად მოვლის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი. პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდა შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან და ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, საუბრისას გაირკვა რომ პრაქტიკის ობიექტზე მყოფი პერსონალი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ყოველდღიურ აღრიცხვას, აწარმოებენ ე.წ „დანიშნულების ფურცელს“, პრაქტიკის დღიურს და პრაქტიკული დავალების შესრულების შეფასების ფურცელს. აღსანიშნავია, რომ სწავლების დამამთავრებელი ციკლის პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა დასაქმებულია პრაქტიკის ობიექტებზე, საგანმანათლებლო

პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლები მასწავლებელი, მათი უმეტესობა სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმია, ხოლო 9 მოქმედი ექთანი და თეორიულ მოდულებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს, ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გარემოსთან წვდომის ადაპტირებისთვის შემდგომში გაითვალისწინონ თანამედროვე და უფრო კომფორტული მექანიზმების გამოყენება. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“

ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A, B და C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აუდიტორიების დათვალიერება, აღმოჩნდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შესაბამისი აუდიტორია A გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა 15 პროფესიულ სტუდენტზე, აღნიშნული პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ასევე კიდევ ერთი აუდიტორია, სადაც მოწყობილია იმიტირებული გარემო. საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ოთხი პარტნიორი ორგანიზაცია: ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანება, ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანება, საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმინდა თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაგა –ბაღი და ა(ა)იპ ხულოს ბაგა–ბაღების გაერთიანება. დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობის დროს წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 27 მასწავლებელი, აქედან 8 განახორციელებს ზოგად, ხოლო 19 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით

გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულებიდან გამომდინარე, თუ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად დადგინდება, რომ იმ კომპონენტების, რომლებიც შეფასებული იყო, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, საერთო რაოდენობის არანაკლებ 50%-ის შეფასება გაუმჯობესდა, მაგრამ აღნიშნულის გათვალისწინებით ვერ განხორციელდა სტანდარტის შეფასების დონის ცვლილება, საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად და/ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების შესახებ. ექსპერტების გათვლით, 5.1 კომპონენტის ფარგლებში, საერთო რაოდენობის რა პროცენტი გაუმჯობესდა.

ექსპერტის განცხადებით, 5.1 კომპონენტი შედგებოდა 11 ინდიკატორისგან და აქედან მხოლოდ ერთი არ იყო დაკმაყოფილებული, დანარჩენი ინდიკატორები შესაბამისობაში იყო.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნანი დალაქიშვილის, განცხადებით, ექსპერტების შემოწმების საგანი არ ყოფილა დაწესებულების მიერ მიმდინარე წლის სექტემბერში წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რადგან აღნიშნული გეგმა შემოვიდა იმ ვადების შემდეგ, რაც მოიცავდა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ვალდებულებას, ამდენად, შესაბამისობის გეგმა ვერ მოხვდა ექსპერტთა ხელში, ცენტრს აღარ მიუწოდებია აღნიშნული გეგმა ექსპერტებისთვის, რადგან დასკვნა უკვე ჩაბარებული ჰქონდათ. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისობის გეგმა და როცა იქნებოდა საშუალება, გაკეთდებოდა განმარტება აღნიშნულ გეგმასთან დაკავშირებით. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოხდა შესაბამისობის გეგმის ასე გვიან წარმოდგენა, მიზეზი მდგომარეობდა შემდეგში: დაწესებულება აგრძელებდა ფინანსების მოძიებას, ვიზიტის დროს და დასკვნის ჩაბარების ბოლო დღესაც დაწესებულებას არ ჰქონდა ფინანსური შესაძლებლობა, რომ სახანძრო უსაფრთხოების სისტემა და ყველა ის ჩამონათვალი, რაზეც ექსპერტებმა გაამახვილეს ყურადღება, აღმოეფხვრათ. საბოლოო ჯამში ეს სისტემა, რომ მოსულიყო სტანდარტთან შესაბამისობაში, დაწესებულებას დაეხმარა აჭარის განათლების სამინისტრო და აჭარის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაეცათ გარკვეული თანხა, რომელიც აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად იყო საკმარისი. თითოეული კომპონენტისთვის თანხა უკვე მითითებული იყო შესაბამისობის გეგმაში და მთლიანი თანხაც იყო მოცემული, ზემოაღნიშნული პროცედურები დაგვიანებით მოხდა და ამიტომაც დაგვიანდა აღნიშნული სამოქმედო გეგმის წარმოდგენა. სამსახურის შეფასებით, შესაბამისობის გეგმა სრულადაა გამყარებული მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, იყო თუ არა გასაჩივრების პროცედურები ერთნაირი აკადემიური პროგრამის სტუდენტებისთვის და პროფესიული სტუდენტებისათვის, სარგებლობდნენ თუ არა ერთიდაიგივე დოკუმენტით.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მხრიდან პროფესიული განათლების ცალკე მარეგულირებელი დოკუმენტი იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად ის დოკუმენტი, რაც ექსპერტებმა იხილეს, იყო პროფესიული სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით და აღნიშნა, რომ პროფესიულ პროგრამებზე არ იყო რენტაბელობის ზღვარი გათვალისწინებული, რაც სტანდარტის აუცილებელი მოთხოვნაა. როგორ ჰქონდა დაწესებულებას აღნიშნული წარმოდგენილი და გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ეს იყო ერთი დოკუმენტის სახით წარმოდგენილი, სადაც ცალკ-ცალკე იყო მოცემული სამივე პროგრამის ბიუჯეტი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნანი დალაქიშვილის, განცხადებით, მაშინ როდესაც აღნიშნული პროგრამების დამატება მოხდა, ცენტრის მხრიდან არ იყო მოთხოვნა იმისა, რომ ჰქონოდათ ცალკ-ცალკე ეს ბიუჯეტი. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა იმ თვალსაზრისით, რომ დაწესებულებას მომავალ წელს უწევს ავტორიზაციის გავლაც და თითოეული პროგრამის პაკეტში უნდა ჩაიდოს ცალკ-ცალკე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ფარგლებში, თუ რატომ იყო აქტიური სტუდენტების რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე ასე ცოტა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, ეს ალბათ უფრო ტერიტორიულ მდებარეობასთან იყო დაკავშირებული, თუმცა ექსპერტებისთვის ბუნდოვანი იყო, თუ რით აიხსნებოდა ასეთი მცირე მომართვიანობა და ის, რომ 19 პროფესიულ სტუდენტს სტატუსი ჰქონდა შეჩერებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, ალბათ, დაწესებულება უფრო მკაფიო კომენტარს გააკეთებდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სტუდენტთა კონტიგენტთან დაკავშირებით, სიტუაცია ყოველთვის ცვალებადი იყო, ჯგუფები ყოველთვის ივსებოდა, მაგრამ ზოგჯერ რჩებოდა თავისუფალი ადგილებიც. მისი თქმით, წელს ბუღალტრულ აღრიცხვაზე იყო 20 ადგილი გამოცხადებული და რეგისტრირებული იყო 29, სკოლამდელ აღზრდაზე 11 ადგილი იყო და დარეგისტრირდა 26 ადამიანი, საექთნო განათლებაზე იყო 20 ადგილი გამოცხადებული და 16 ადგილი იყო რეგისტრირებული. დაწესებულებას არ ჰქონია შემთხვევა, როცა აღნიშნული სამი პროგრამის ფარგლებში ჯგუფი არ შევსებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით საექთნო განთლების პროგრამის ფარგლებში, თუ რამდენად ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი იყო სტუდენტებისთვის, რომლებიც სავარაუდოდ ცხოვრობდნენ ხიჭაურში, ყოველდღიური მგზავრობა ბათუმში, პრაქტიკის ობიექტზე და რას აკეთებდა დაწესებულება იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ მათთვის ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა მდგომარეობდა იმაში, რომ ცხრილები იყო მათზე მორგებული და ისე შედგენილი, რომ თეორიული კომპონენტი უნივერსიტეტში განხორციელდებოდა და პრაქტიკული კლინიკაში უნდა განხორციელებულიყო. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები უმრავლეს შემთხვევაში ქალაქში ახერხებდნენ თავიანთ ახლობლებთან დარჩენას და მათთვის ეს დისკომფორტს არ წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებამ მიმართა ინსტიტუციური დახმარების ისეთ ფორმას, რომელიც ითვალისწინებდა ინტენსიურ ურთიერთობებს სხვა

დაწესებულებებთან, როგორებიცაა: ბლექსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაწესებულებამ ბლექსისგან აიღო ნიმუში ელექტრო გათბობასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ გაზიფიცირების პრობლემა იქაც იყო და მათ უფრო ადრე მოაგვარეს აღნიშნული საკითხი. დაწესებულებამ მიმართა კომპანია „თერმულ კლიმატს“, რომელიც იყო აღნიშნულ სფეროში კომპეტენტური და დიდი ხანია მოღვაწეობდა ბაზარზე. მათ დაამონტაჟეს და გააკეთეს ეს სისტემა, რომელიც ელექტრო ცენტრალურ გათბობას ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ ეპარქიას ჰყავდა თავისი სამშენებლო დეპარტამენტი და რაც შესაძლებელი იყო, კეთდებოდა უნივერსიტეტის ძალებით. სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ხელშეკრულება იდებოდა სხვადასხვა კომპანიებთან. ანალოგიური მიდგომა იყო სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და ეს იყო ლიცენზირებული კომპანია შპს „ლაშვარდი“, რომელიც სახანძრო უსაფრთხოების სისტემებთან მიმართებაში მუშაობდა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. აღნიშნული კომპანია იქნა მოწვეული და მათთან ერთად და სპეციალისტებთან ერთად დათვალიერებულ იქნა საუნივერსიტეტო გარემო, შედგა შესაბამისი გეგმები, ანაზომები, გაკეთდა პროექტები იმისათვის, რომ შესაბამისობის გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით, რეალისტური ყოფილიყო. მისი თქმით, 2019 წლის დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენდა სახანძრო უსაფრთხოების შეფასებას, კომპეტენტური ორგანოს მიერ მიცემული იყო ახალი საევაკუაციო გასასვლელი, ასევე ელექტრომეურნეობის მოწესრიგება. დაწესებულებას ელექტროგამანაწილებელი ქსელი აქვს დამონტაჟებული 2006-2007 წლებში, როცა იგეგმებოდა საუნივერსიტეტო კორპუსების მოწყობა და მაშინ იყო ეს პროცესი შესრულებული. ზემოაღნიშნული მოწესრიგებული და უკვე გაკეთებულია, დარჩენილი იყო მხოლოდ სახანძრო ჰიდრატი, რაზეც უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს წყალმომარაგების სისტემა, რომლის მოცულობა იყო 100 ტონა და მდებარეობდა უნივერსიტეტის შენობიდან 37 მეტრის სიმაღლეზე. აღნიშნული გაზომილი და გაკეთებული იყო კომპანიის მიერ და მათი თქმით, ცალკე დამოუკიდებელი ჰიდრატის, ანუ წყლის აუზის საჭიროება არ იყო. 2019 წელს, როდესაც სახანძრო უსაფრთხოების სამსახურმა შემოწმება გააკეთა, აღნიშნული ჩანაწერი დოკუმენტში გაჩნდა იმიტომ, რომ მათ კომპეტენციას არ წარმოადგენდა წნევის რაოდენობის დადგენა, თუ რა წნევით მიეწოდებოდა დაწესებულებას წყალი. ცეცხლმქრობებთან დაკავშირებით, ორივე სართულზე იყო აღნიშნული ცეცხლმაქრები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ხომ არ გეგმავდა დაწესებულება, გარდა ამ სამი პროგრამისა, კიდევ სხვა რაიმე პროგრამების დამატებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ადრე დაწესებულებას დღის წესრიგში ჰქონდა მეფუტკრეობის და ვეტერინარიის პროგრამები. აღსანიშნავია, რომ მეფუტკრეობის ბაზა იყო ეპარქიაში, ჰქონდათ ფუტკრების სკები და აღნიშნული მიმართულებით სპეციალისტიც. ვეტერინარიის პროგრამა შემდეგ რეგულირებადში გადავიდა და ამან ძალიან დიდი რესურსები მოითხოვა. უნივერსიტეტში ყველაფერი უფასოდ ხორციელდებოდა და ავტორიზაციის პროცესები როგორც უმაღლესში, ასევე პროფესიულ სტანდარტებზე რომ გადავიდა, დროებით თავი შეიკავა დაწესებულებამ ახალი პროგრამების დამატებისგან და ცალკე რესურსის დახარჯვისგან, აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭომ შეაფასა ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნა, ის არგუმენტები, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა და შესაძლებელი იყო, კენჭისყრაზე დაეყენებინათ საკითხი მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში" (ს/კ: 247865289) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაასაბუთა თავისი უარყოფითი გადაწყვეტილება: „მე არ ვარ თანახმა, პირველ რიგში იმიტომ, რომ დაწესებულებას უნდა წარმოედგინა შესაბამისობის გეგმა დროულად და მეორე ის, რომ აღნიშნული გეგმის წარმოსადგენად დაწესებულებას საკმარისი დრო ჰქონდა, დაახლოებით წელიწადნახევარი იმისთვის, რომ ხარვეზი გამოესწორებინა. დაწესებულებამ ძალიან კარგად იცის ჩემი დადებითი დამოკიდებულება მის მიმართ. ჩემი არა უბრალოდ გაფრთხილება იქნება დაწესებულებისთვის, იმ თვალსაზრისით, რომ მეტი მობილიზება მოახდინოს თავისი რესურსების, უფრო მეტი პასუხისმგებლობით და ძალისხმევით მოეკიდოს ამ საკითხს. ასევე, ჩემი უარყოფითი გადაწყვეტილებით, მე პროტესტს გამოვთქვამ დებულებაში იმ გაუგებარ ჩანაწერზე, რომელიც არ კრძალავს ერთი მონიტორინგის შემდეგ რამდენიმე მონიტორინგის ჩანიშვნას. ჩემი აზრით, როდესაც ერთი მონიტორინგი ჩაინიშნება, მაქსიმუმ კიდევ ერთი მონიტორინგი შეიძლება ჩაინიშნოს და არა უსასრულოდ მონიტორინგები იმისთვის, რომ დაწესებულებამ რაღაცა ხარვეზი გამოასწოროს. აი ეს არის ორი მიზეზი, თუმცა მე დაწესებულებას ძალიან ბევრ წარმატებას ვუსურვებ და დიდი იმედი მაქვს რომ ყველაფერს კარგად გააკეთებენ მომავალში“.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, შესაბამისი სამუშაოების დასრულების შემდეგ, გამოითხოვოსა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტიდან" ანგარიში და წარუდგინოს საბჭოს.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრს, ტიტე ბოლქვაძეს აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქვს შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი ვერიკო ჭიღლაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტების საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესებულების მიერ ავტორიზაციის დებულების 31- ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ღონისძიების ორგანიზება" (ქ. ქუთაისში, ნიკეას მე-2 შესახვევი N8) და " საფინანსო სერვისები" (ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. 2) 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დისტანციურად პროგრამა Zoom-ის მეშვეობით წინასწარ შეიკრიბა. მათ განიხილეს ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეაჯერეს მონიტორინგის წინასწარ შესწავლილი დოკუმენტებით გამოვლენილი პრობლემური საკითხები და შეათანხმეს ვიზიტის დღის განრიგი. 2023 წლის 15 და 16 აგვისტოს ქ. თბილისში და 18 აგვისტოს ქ. ქუთაისში შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტები. 15-16 აგვისტოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეაფასეს ქ. თბილისში ინსტიტუციური სტანდარტები, ხოლო 16 აგვისტოს ასევე შეფასდა დარგის ექსპერტის მიერ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა ,,საფინანსო სერვისები“ ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში. 18 აგვისტოს კი ქ. ქუთაისში განხორციელდა როგორც ინსტიტუციური სტანდარტების, ასევე, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ღონისძიების ორგანიზება“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. აღნიშნულის ფარგლებში ინტერვიუების ჩატარების მიზნით ისინი შეხვდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეისწავლეს დამატებითი დოკუმენტაცია და დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები და გაესაუბრნენ წარმოების წარმომადგენლებს. ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაწესებულების წარმომადგენლებს აცნობდა სამუშაო დღის მანძილზე გამოვლენილ მიგნებებს, ხოლო ვიზიტის დასასრულს მის მიერ ჩატარებული იქნა მონიტორინგის ვიზიტის შემაჯამებელი პრეზენტაცია. მონიტორინგის ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ სამუშაო ვითარებაში.

შესაბამისობის რეკომენდაციები

ინსტიტუციური სტანდარტები:

ინდიკატორი 3.1.1.1. დაწესებულების მარეგულირებელ წესში გაწერილი სტატუსის შეჩერების ვადები საჭიროა, შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №198/ნ ბრძანებით დადგენილ წესებთან.
ინდიკატორი 3.1.1.5. საჭიროა, დაწესებულებამ შეიმუშავოს და განახორციელოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები შესაბამისი პროფესიული სტუდენტების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდიკატორი 4.1.1.3. საჭიროა, დაწესებულებამ უზრუნველყოს მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ჩამოყალიბება ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით.
ინდიკატორი 5.1.1.2. დაწესებულებამ უზრუნველყოს ქ. თბილისში განთავსებული არსებული ინფრასტრუქტურის, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის;
ინდიკატორი 5.1.1.5. დაწესებულებამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა.
ინდიკატორი 5.1.2.1. დაწესებულებამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ კომპეტენტური ორგანოს დასკვნის მოპოვება ორივე ლოკაციაზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისთვის ქ. თბილისშიც და ქ. ქუთაისშიც;
ინდიკატორი 5.1.2.3. დაწესებულებამ უზრუნველყოს მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან ორივე ლოკაციაზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისთვის ქ. თბილისშიც და ქ. ქუთაისშიც;

პროგრამული სტანდარტები:
ინდიკატორი 2.4.2.2. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ქუთაისის ლოკაციაზე უზრუნველყოს ვერიფიკაციის განხორციელება საკუთარ ვერიფიკაციის წესის შესაბამისად.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული განათლება სახელმწიფო დონეზე რეგულირდება სპეციალურად მისთვის შექმნილი რეგულაციებით, ასევე, უნივერსიტეტშიც ამ მიმართულების სწავლებისთვის შექმნილია პროფესიული განათლების ცენტრი, დაწესებულებამ სასურველია შეიმუშავოს პროფესიული განათლების პროცესების მართვისთვის დამოუკიდებელი მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორები 1.1.1.1. ვინაიდან უნივერსიტეტი ემსახურება პროფესიული განათლების მიზნებსაც, სასურველია, იგი აისახოს მის მისიაშიც.
ინდიკატორი 1.1.1.3. სასურველია, უნივერსიტეტის ხედვაში წარმოჩინებული იქნას პროფესიული განათლების სექტორისთვის დაწესებულების ხედვებიც.
ინდიკატორი 1.1.1.4. სასურველია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული იქნას სტრატეგიულ გეგმებთან და კატალოგშიც, რათა მისი საჯაროობა მეტად იქნას უზრუნველყოფილი, ასევე, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მითითებული იქნას მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვის/გაზიარების/საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის პროცედურებიცა და პასუხისმგებელი პირებიც.
ინდიკატორი 1.2.1.1. სასურველია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მეტად დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგია, რომლის დაცვითაც დაწესებულება განახორციელებს სტრატეგიული გეგმის შედგენას, აგრეთვე, სტრატეგიული გეგმის გაზიარების, მონიტორინგის პროცედურებს და პერიოდულობას, ანგარიშგების შედგენას, მათ შორის ეფექტური იქნებოდა სავალდებულო შუალედური ანგარიშგების, ცვლილებების შეტანის პროცედურებისა და ამ ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გზების განსაზღვრა. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების მეთოდოლოგიაში სასურველია

განისაზღვროს მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის, შედეგებზე რეაგირების მეთოდები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურები.

ინდიკატორი 1.2.1.3. სასურველია, სტრატეგიულ გეგმაში განისაზღვროს მიზნებისა და ამოცანების შესრულების პერიოდები, ვინაიდან, ისეთი ამოცანებისთვის, რომლებიც არ იქნება გაწერილი 7 წელზე, პროცესს აქვს კონკრეტული დასაწყისი და დასასრული (მაგ. ამოცანა I.1 აკადემიური ღირებულებებისა და კულტურის მხარდაჭერა - აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის კომისიის ეფექტიანობის გაზრდა, პლაგიატის აღმოფხვრა, მასთან ბრძოლის არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ამოცანა IV.5 უნივერსიტეტის და საფაკულტეტო ბიბლიოთეკების აღჭურვა დამატებითი კომპიუტერებით ან ამოცანა X.8 შიდა და გარე კომუნიკაციის პოლიტიკის შემუშავება).

ინდიკატორი 1.2.2.1. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება გარკვეული დადგენილი პერიოდულობით, საჭიროების შემთხვევაში კი ცვლილებების შეტანაც.

ინდიკატორი 3.1.1.1. · სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მობილობის წესი და პროცედურა სასურველია დაკონკრეტდეს შესაბამისი წესის (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №198/ნ 20 პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ) თანახმად. · სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და შინაგანაწესში თანხვედრაში მოიყვანოს პროცედურები და წესები პროფესიული სტუდენტის უფლებების შესახებ.

ინდიკატორი 3.2.1.3. სასურველია, დაწესებულებამ გაწეროს პროფესიული სტუდენტისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, მაგალითად ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება და სხვა.

ინდიკატორი 4.1.1.2. სასურველია, დაწესებულებამ მკაფიოდ გამიჯნოს და დააკონკრეტოს ერთ პროცესზე პასუხისმგებელი სხვადასხვა რანგის თანამშრომლის ფუნქციები იმგვარად, რომ მათი ფუნქციები იყოს ნათლად აღწერილი და არ საჭიროებდეს დამატებით დაზუსტებებს.

ინდიკატორი 4.1.2.3. სასურველია, დაწესებულებამ იმ პოზიციებისთვის, რომელთა მომზადებაც ხორციელდება პროფესიული სწავლების დონეზე (მაგალითად ბიბლიოთეკარი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ბუღალტერი და სხვა), განათლების დონედ განისაზღვროს პროფესიული განათლება.

ინდიკატორი 4.2.1.5. სასურველია, დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების მექანიზმები.

ინდიკატორი 5.1.2.2. სასურველია, უნივერსიტეტში შემუშავებული იქნას ,,პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები'', რომელშიც გაიწერება მეტად დეტალიზებული ინსტრუქცია პირველადი სამედიცინო დახმარების ფარგლებში პროცესების მართვის შესახებ.

ინდიკატორი 5.2.3.1. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.

პროგრამული სტანდარტები:

საერთო განმავითარებელი რეკომენდაცია ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

ინდიკატორი 2.3.1.1. სასურველია, სრულფასოვნად აღიწეროს პროგრამის შეფასების რეგულაცია. განისაზღვროს შეფასების სიხშირე, ანგარიშგების ვალდებულება და სხვა.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით, რაც შეეხება, შშმ

პირების მიერ ინფრასტრუქტურაზე შეუზღუდავ წვდომას, უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისში ადაპტირებულია პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრისთვის გამოყოფილი 2 სართულიანი შენობის მხოლოდ პირველი სართული. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, არსებულ შენობაში მეორე სართულის ადაპტირება ტექნიკურად შეუძლებელია, ამასთან, მათთვის შენდება ახალი შენობა, რომელიც სრულად იქნება ადაპტირებული, ხოლო შშმ პირის პროფესიული სტუდენტის პროგრამებზე ჩარიცხვის შემთხვევაში, მოემსახურებიან პირველ სართულზე. ქ. ქუთაისში არსებული ფართი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის მარტივი კონსტრუქციის პანდუსებითა და შესაბამისად მოწყობილი სანიტარული კვანძებით, დაწესებულების ორივე ლოკაციაზე არსებული პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, უნივერსიტეტს დასაქმებული ჰყავს მხოლოდ ერთი შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული ინსპექტორი, თუმცა, დაწესებულებას არ აქვს უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული შრომის უსაფრთხოების მართვის წესი ან/და მექანიზმები, დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით ისინი 2024 წლის 25 მარტამდე გეგმავენ შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები დარეგულირდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემოწმების აქტი დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და შესაბამისი შეფასების აქტი და მიწერილობა, ამის ნაცვლად მათ მიერ წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N173/02-01 (06.07.2023) ,,სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის განსაზღვრის შესახებ“, რაც ექსპერტებმა არ მიიჩნიეს ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საკმარისად. ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა მიერ დათვალიერდა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილი შენობები ქ. თბილისშიც და ქ. ქუთაისშიც, საიდანაც დგინდება, რომ უნივერსიტეტის ყველა ფართი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობებით, დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით ისინი 2024 წლის 25 მარტამდე გეგმავენ მოიპოვონ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ კომპეტენტური ორგანოს დასკვნა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, უზრუნველყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვა, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“

ექსპერტის განმარტებით, პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები, რომლებიც დაკომპლექტებულია 20-20 პროფესიული სტუდენტისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით, კომპიუტერებში ჩატვირთულია შესაბამისი პროგრამა ალტას დემო ვერსია, რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით თსუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შპს „ჩაის სახლი ქიაჩელზე“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ლენდაფთან”, რომელთა მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის

კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“, განხორციელების მიზნით თბილისის უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 19 მასწავლებელი, აქედან 10 განახორციელებს ზოგად, ხოლო 9 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ყოველთვის ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ღონისძიების ორგანიზება“

ექსპერტთა მიერ ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ღონისძიებების ორგანიზება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი. ყველა პროფესიული მოდულის განხორციელება დაგეგმილია ძირითადად A გარემოში, რომლებიც, აღჭურვილია საჭირო ინვენტარით ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. B გარემო პროგრამაში ესაჭიროება მხოლოდ ერთ მოდულს ინფორმაციული წიგნიერება 1, ეს გარემოც უზრუნველყოფილია დადგენილ მოთხოვნების შესაბამისად. დამტკიცებული პროგრამის თანახმად C სასწავლო გარემო ესაჭიროება მოდულს „ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“. აღნიშნული პროფესიული მოდულის განხორციელებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებას შორის. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ თეატრი სრულად არის აღჭურვილი მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. გასაუბრების დროს თეატრის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ისინი უზრუნველყოფენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული აქტივობებში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მაქსიმალური მონაწილეობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია მოდულების განხორციელებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 16, მათ შორის 9 ემსახურება პროფესიული დარგობრივი მოდულების განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, პროფესიულმა სტუდენტებმა მიიღო თუ არა მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

ექსპერტის განცხადებით, ინდივიდუალური გეგმის უშუალოდ შემუშავების პროცესში პროფესიულ სტუდენტების ჩართულობა არ იყო გამოვლენილი არც მექანიზმებით და არც პრაქტიკული მაგალითებით. იყო მხოლოდ სტუდენტის ხელმოწერილი თანხმობა უკვე შემუშავებულ ინდივიდუალურ გეგმაზე. არგუმენტირებულში დაწესებულებამ მოიწერა მაგალითები, თუმცა, რადგან უშუალოდ ადგილზე ვერ მოხდა შემთხვევების შესწავლა და ვერ მოხდა გასაუბრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ჯგუფთან, ასევე, ვერც სტუდენტებთან, შესაბამისად, ექსპერტთა პოზიცია აღნიშნული მიმართულები არ შეიცვალა და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ხომ არ თვლიდა, რომ ცენტრი საკმარისად ავტონომიური იყო იმისთვის, რომ ხარისხიანად განეხორციელებინა თავისი მოღვაწეობა, თუ მეტი ავტონომიურობა სჭირდებოდა რაღაც კონკრეტული მიმართულებით.

ექსპერტის განცხადებით, უმაღლესისგან განსხვავებით, შედარებით უფრო მკაცრი მიდგომები იყო პროფესიულთან მიმართებაში. ცენტრი ნამდვილად ავტონომიური იყო, იმიტომ, რომ სხვაგვარად ვერ შეასრულებდა თავის ფუნქციას და გამოიკვეთებოდა უფრო მეტი შეუსაბამობები სტანდარტებთან მიმართებაში, იმიტომ, რომ პროფესიულის სტანდარტი საკმაოდ დაწვრილებითია და ვერანაირად ვერ გამოგრჩება რომელიმე პროცესი. განსხვავებებს, რომელიც არის უმაღლესსა და პროფესიულ განათლებას შორის, მარეგულირებელი წესი უფრო ამარტივებს. როდესაც დოკუმენტი აქვს პროფესიულ განმახორციელებელს შექმნილი, უფრო მარტივად ჩანს, როგორ მოქმედებს ცენტრი ამ შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ითვალისწინებდა თუ არა ექსპერტების მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებს, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და ღირებულებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, თსუ-ს მისია იყო საკმაოდ ზოგადი დოკუმენტი. დაწესებულებისთვის პროფესიული განათლება ნამდვილად პრიორიტეტული იყო, თუმცა პროფესიული განათლების გარდა, უმაღლეს განათლებას 1+4 პროგრამებს, ტრენინგ-სასერთიფიკატო კურსებს უამრავი სხვა განათლების მოდელები ჰქონდა ჩაშენებული საგანმანათლებლო პროცესში, შესაბამისად, დაწესებულება არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად, რომ ყველაფერი ცალ-ცალკე მისიაში ყოფილიყო ხაზგასმული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, იყო თუ არა სტრატეგიული გეგმა უნივერსიტეტისთვის ცალკე შემუშავებული და პროფესიული განათლებისთვის - ცალკე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, თავის დროზე, როდესაც შედგა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგემა, მათ შორის პროფესიული განათლებაც იკითხებოდა, თუმცა შესაძლოა ისე მკაფიოდ არ იყო პროფესიული განათლების მნიშვნელობა წარმოდგენილი აღნიშნულ გეგმაში, როგორც ამას ექსპერტები თვლიდნენ საჭიროდ. აღსანიშნავია, რომ 2024 წლისთვის დაწესებულებას უწევდა რეავტორიზაციის გავლა და სწორედ აღნიშნულ პერიოდში წარმოადენდა ახალ სტრატეგიული გეგმას, რომელიც იქნებოდა ამერიკის საგანმანათლებლო მოდელზე აწყობილი და აქ ცხადია, რომ პროფესიულ განათლებას ექნებოდა თავისი წილი სტრატეგიულ გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი ექსპერტების რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების მარეგულირებელ წესში უკვე შეტანილი იყო ცვლილება. დაწესებულების მარეგულირებელი წესი უკვე თანხვედრაში იყო N198 ბრძანებასთან. როგორც ცნობილი იყო, უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით ხდებოდა პროფესიულ მარეგულირებელზე ცვლილების შეტანა, მიღება ან დამტკიცება, შესაბამისად, ეს ხანდახან პროცესში ხანგრძლივდებოდა ხოლმე, თუმცა მისი სიმყარისთვის და ლეგიტიმაციისთვის სწორედ აკადემიური საბჭო იყო ის ორგანო, ვინც საბოლოოდ დაამტკიცებდა აღნიშნულ წესს, შესაბამისად, მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანის დაგვიანება განპირობებული იყო ტექნიკური ფაქტორით, თუმცა დაწესებულება იზიარებდა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას. რაც შეეხება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას, როდესაც ზოგადად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საკითხი დგება, თითოეული სტუდენტი დაწესებულებას მიმართავს განცხადებით, სადაც აღწერს მის სურვილებს, საჭიროებებს. როდესაც პროცესში ხედავს, რომ უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს მის საჭიროებებს და შეუძლია შექმნას პროფილი, დამატებით მისი ჩართულობა არ ხდებოდა და საბოლოოდ ეცნობებოდა, რასაც ხელმოწერით ადასტურებდნენ, თუმცა ცხადია ზოგადად სტუდენტზეც და სხვა პირზეც, როდესაც ხდება რაიმე აქტის შედგენა, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ისე ნებისმიერი აქტი უნივერსიტეტში შიდა რეგულაციით მოქმედი, საშუალებას გვაძლევს, რომ დავიბაროთ სტუდენტი და გამოკითხვის ფორმატში ან ახსნა-განმარტებით ფორმატში წარმოვადგინოთ მისი პოზიცია, თუმცა ამ შემთხვევაშიც დაწესებულება იზიარებდა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას და აღნიშნულ მარეგულირებელი წესში უკვე შეტანილია ცვლილება. რაც შეეხება ხარისხის ფუნქციების ჩამოყალიბებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას, აქაც ხარისხის მენეჯერი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში არ იყო ჩართული, როგორც უშუალო გამწერი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, არამედ ის შედეგი, რაც საბოლოოდ მას უნდა შეემოწმებინა, ერთგვარად მის ხელშივე კონტროლდებოდა იმ გაგებით, რომ საბოლოოდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას არ მიეღო არასწორი სახე. აღნიშნულიც ნაწილობრივ შეიცვალა და დანარჩენი ნაწილი, რაც სამუშაო აღწერილობას ეხებოდა და ასევე შრომითი უსაფრთხოების ნაწილს, უკვე პროცედურულად დაწყებულია და საბოლოოდ ეს ხარვეზიც გამოსწორდება. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებასა და საგანგებო სიტუაციებს, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება მოქმედებს შესაბამისობის გეგმის მიხედვით, რაც უნივერსიტეტმა განსაზღვრა. მისი თქმით, უნივერსიტეტი 27 სამეცნიერო სასწავლო კვლევითი დაწესებულების შენობა-ნაგებობას ფლობდა და მისი სახანძრო უსაფრთხოების გამოწვევების სრული ადაპტირება, ასევე ინკლუზიური განათლებისთვის სრული ადაპტირება და შშმ პირებისთვის შესაბამისი გარემოს მოწყობა დიდი გამოწვევა იყო, თუმცა უნივერსიტეტი მაქსიმალურად ეცდება, რომ დაძლიოს აღნიშნული გამოწვევები და შექმნას კომფორტი ნებისმიერი პირისთვის. მისი თქმით, ხაზგასასმელი იყო სამოქმედო გეგმის მონიტორინგთან დაკავშირებით საკითხიც. უნივერსიტეტში 2018 წელს დაწერილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდებოდა სამი წლის ვადაში 2018-2020 წლებში, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე, გარკვეულწილად მოხდა ჩავარდნა. ამჟამად უნივერსიტეტი არა კომისიური საუნივერსიტეტო ჯგუფით განიხილავს აღნიშნულის მონიტორინგს, არამედ ცალკე, მყარი სტრუქტურული ერთეულის შემოტანით, რომელიც კონკრეტული სტრატეგიული მხარის განვითარებისკენ იქნებოდა მიმართული. ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმებთან დაკავშირებით უნივერსიტეტი დარწმუნებულია, რომ ცენტრი გაწერს, თუ როგორ შეიძლება ცნობის სერტიფიკატის თუ სხვადასხვა დოკუმენტაციის მიღება. რაც შეეხება ვებგვერდს,

უნივერსიტეტსაც ჰქონდა პრეტენზიები აღნიშნულთან დაკავშრებით დ იქედან გამომდინარე, რომ ვებგვერდს ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს, მისი განახლება და უფრო მეტად ადაპტირება სიმარტივის კუთხით უნივერსიტეტის მიზანიც იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ: 204864548) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ ცენტრს შუამდგომლობით მიმართა მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით. ჩაინიშნოს მონიტორინგი 2.4 კომპონენტში ქ. ქუთაისის ლოკაციაზე „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამის ფარგლებში, ასევე, ორივე ლოკაციაზე 3.1, 4.1 და 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად 2.4, 3.1 და 4.1 კომპონენტებისთვის განისაზღვროს 2023 წლის 7 დეკემბერი და მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა. 5.1 კომპონენტში მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 თებერვალი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ